

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია-მ ქალაქის პროკურატურაში შუამდგომლობა შეიტანა

2 მაისს, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით (სადაც ორი ახალგაზრდა დაიღუპა) დაზარალებულების ადვოკატებმა თბილისის პროკურატურას ახალი მტკიცებულებები წარუდგინა.

როგორც ცნობილია, სპეცოპერაციის დროს ვაზაგაშვილისა და ხუბულოვის ლიკვიდაციის ფაქტზე სისიხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად (მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომების გადაცილებით), თბილისის პროკურატურაში ცალკე დაიწყო გამოძიება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიუხედავად იმისა რომ სპეცოპერაციის დროს გადარჩენილმა ფუთურიძემ სასამართლოს განუცხადა, თითქოს მათი მხრიდან ადგილი ქონდა ცეცხლის გახსნას, ვაზაგაშვილის ადვოკატების მიერ მოპოვებულ იქნა მტკიცებულება, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს.

კერძოდ, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ძალოვანებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გახსნეს ცეცხლი, რის შედეგადაც ვაზაგაშვილი და ხუბულოვი ადგილზე დაიღუპნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაცვის მხარის მიერ თვითმხილველებს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რომელსაც დაზარალებულის მხარე გამოძიებას წარუდგენს, მოითხოვს მათ დაკითხვას და საქმეზე ობიექტურ გამოძიებას.

ამ თემაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში სპეციალური ბრიფინგი მოენყო.